გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ხაშურის მოამბე

№50 (81) 30 დეკემბერი, პარასკევი, 2016 წელი

გიორგი გურასპაშვილი: მინდა, თითოეულს გისურვოთ, რომ 2017 წელი თქვენი იმედების, მიზნების გამართლების წელი ყოფილიყოს!

ჩვენი გაზეთი, ტრადიციულად, მკითხველს საახალწლო ნომერში მუნიციპალიტეტის პირველ პირს ახვედრებს. ტრადიცია არც ამჯერად დაგვირღვევია და ინტერვიუსთვის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გიორგი გურასპაშვილს ვესტუმრეთ:

-ბატონო გიორგი, ამაზე ხშირად გვისაუბრია, ამიტომ მოკლედ რომ შევაფასოთ, როგორი იყო 2016 წელი ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის?

–2014 წელს, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოსვლის შემდეგ, ის კურსი, რომ მაქსიმალური ყურადღება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე აგვეღო, ვფიქრობ, 2016 წელს მნიშვნელოვნად გაგრძელდა. პირველ რიგში, გამოვყოფდი სპორტკომპლექსის მშენებლობას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, უკვე აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს და მომავალ წელს დასრულდება. დაბა სურამშიც მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა, საბავშვო ბაღის, მუსიკალური სკოლის რემონტი, პოლიკლინიკის რემონტი, რომელიც უახლოეს დღეებში დასრულდება და განსხვავებულ გარემოში მიიღებს მოსახლეობა სამედიცინო მომსახურებას. ხაშურში გავაგრძელეთ საბავშვო ბაღების აღდგენა, მინი სტადიონების, გზების კეთილმოწყობა. განსაკუთრებით, სოფლებში ჩატარდა სამუშაოები, რაც, რა თქმა უნდა, არაა საკმარისი, მაგრამ იმედის მომცემია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში მსგავსი ტიპის პრობლემები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. მნიშვნელოვანი

სამუშაოები გატარდა ენერგეტიკის კუთხითაც, გომისა და ქვიშხეთის ტერიტორიულ ერთეულში შემავალი სოფლებში უკვე დასრულდება გაზიფიცირება და მომავალ წელს თითქმის არ იქნება სოფლები, რომელთა გაზიფიცირებაც არ მოხდება. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე სოციალური პროგრამები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. განხორციელდა მრავალი კულტურული პროექტი, არაერთ ცნობილ შემსრულებელს ვუმასპინძლეთ, საიდანაც, ვფიქრობ, დიდი სიამოვნება მიიღო ხაშურის მოსახლეობამ.

-რა მოლოდინი უნდა გვქონდეს 2017 წელს?

–ბიუჯეტი 2014 წლიდან 2 მილიონი ლარითაა გაზრდილი, ამის საშუალება მოგვცა განხორციელებულმა პრივატიზაციებმა, რომლებიც წარმატებით ჩატარდა და დამატებითი შემოსავალი მოიტანა მუნიციპალიტეტისათვის, იგივე გაგრძელდება მომავალ წელსაც. გვაქვს ამბიციური გეგმები, დაიწყება ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მინისტარის დასახლებაში, სოფელ ტეზერში შევისყიდეთ ორსართულიანი სახლი, სადაც განთავსდება საბავშვო ბაღი, მოხდება რამდენიმე დიდი ქუჩის მოასფალტება, სურამში დასვენებისა და გართობის ახალ პარკს გავაკეთებთ რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე, დასრულდება სპორტკომპლექსი, კულტურის სახლის რემონტი. გარდა ამისა, მინიმუმ ექვსი მინი სტადიონი მოეწყობა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დასახლებებში და ყველაზე მთავარი იქნება ალბათ, ის, რომ დაიწყება დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ორწლიანი პროექტია.

(დასასრული II გვერდზე)

გისურვებთ მატერიალურ და სულიერ წინსვლას!

მინდა, ახალი წელი მივულოცო ხაშურის რაიონში მცხოვრებ ყველა ოჯახს, მოხუცსა და ახალგაზრდას, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველებს და ჯანმრთელობაშენახულ ადამიანებს.

დღეს, ეკონომიკური პრობლემებით შეწუხებულ მოსახლეობას ძნელია რაიმე დამაიმედებელი უთხრა, მაგრამ მინდა იცოდეს ყველამ, რომ რაიონის საკრებულო და პირადად მე ყველაფერს ვიღონებ ამ პრობლემების შესარბილებლად და შესამსუბუქებლად. წელს კიდევ უფრო მეტია დაგეგმილი გასაკეთებლად, როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო კუთხით, დაიწყება წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია, ახალი სკოლის მშენებლობა დიდ ფლევში, იუსტიციის სახლის მშენებლობა, დასრულდება სპორტული კომპლექსის მშენებლობა და განხორციელდება სხვა დიდი თუ მცირე პროექტი.

ჩვენ მზად ვართ, ყოველთვის ვიდგეთ ჭირსა თუ ლხინში მოსახლეობის გვერდში.

გისურვებთ მატერიალურ და სულიერ წინსვლას.

ვაჟა შუბითიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე.

ღვთის წყალობას, მშვიდობას, სიხარულს დაესადგურებინოს თქვენს ოჯახებში!

ჩვენს თანამოქალაქეებს, სრულიად საქართველოს, მოგილოცავთ შობა-ახალ წელს! ფეხბედნიერი ყოფილიყოს 2017 წელი ჩვენს ქალაქში. ღვთის წყალობას, მშვიდობას, სიხარულს დაესადგურებინოს თქვენს ოჯახებში.

კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით მხარდაჭერისა და ნდობისათვის. ერთად დავდგეთ იმ ღირებულებების ერთგულებით, რაც ჩვენი ქალაქის განვითარებასთან გვაკავშირებს.

ღმერთმა გაგაძლიეროთ, გაგამრავლოთ და გაგახაროთ!

სიმონ ნოზაძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი

(დასასრული II გვერდზე)

გიორგი გურასპაშვილი: მინდა, თითოეულს გისურვოთ, რომ 2017 წელი თქვენი იმედების, მიზნების გამართლების წელი ყოფილიყოს!

2018 წელს გვექნება განახლებული მუზეუმი, ეთნოგრაფიული კუთხით, ეს იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ობიექტი არა მხოლოდ ჩვენს ქალაქში, არამედ რეგიონში.

-გარდა იმფრასტრუქტურული პროექტებისა, სხვა სახის პროგრამები თუ განხორციელდება? მოსახლეობა რამდენად იგრძნობს სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას?

–თითოეულ ოჯახში ნამდვილად ვერ შევალთ, ამის შესაძლებლობას, სამწუხაროდ, ბიუჯეტი არ გვაძლევს, მითუმეტეს, რომ სახელმწიფოს აქვს სოციალური დახმარების პროგრამა, ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევა, მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტი ამ კუთხითაც ბევრ რამეს აკეთებს, ამის მაგალითია ისიც, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს გადავეცით გარემონტებული შენობა, ჩემი და ჩემი მეგობრების დიდი ძალისხმევით გაიხსნა დიალეზის ცენტრი. სოციალური პაკეტი, რა თქმა უნდა, აქვს მუნიციპალიტეტს განსაზღვრული, რომელიც ძირითადად, მოიცავს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის თანადაფინანსებას ოპერაციების დროს, აგრეთვე, ფუნქციონირებს სასადილო უპოვრებისათვის. მაქსიმალურად ვეხმარებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინკლუზიურ განათლებას. არის უამრავი პროექტი, რომლითაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს იმ გეგმებს, რითაც მოსახლეობას, შეძლებისდაგვარად, შეუმსუბუქდება სოციალური პრობლემები. ეს პროცესები მომავალ წელსაც გაგრძელდება.

-ქამრების შემოჭერის პოლიტიკა ჩვენს მუნიციპალიტეტსაც შეეხო, რაში გამოიხატება ეს, იგეგმება თუ არა ამ ეტაპზე კადრების, ან არსებულ სახელფასო ფონდის შემცირება?

–მთავრობის გადაწყვეტილებით, შემცირდა ადმინისტრაციული ხარჯები, რაც აისახება სახელფასო ფონდზე, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არსებული ხელფასი შეუმცირდა ვინმეს, უბრალოდ, ის ფონდი, რომელიც განსაზღვრული იყო პრემიებისა და დანამატებისათვის, მთლიანად ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გადავიდა. რაც შეეხება, შემცირებებს, ცოტა ხმაურიანი განაცხადია, მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე არ დგას ამის საჭიროება, თუმცა, არის კონკრეტული ცვლილება საბიუჯეტო კანონში. ამ ეტაპზე, დაზუსტებით არ შემიძლია გითხრათ, როგორ განვითარდება მოვლენები. იგეგმება რამდენიმე ა(ა)იპ-ის შეერთება, გამსხვილება, ამიტომაც ცვლილებები ძირითადად აქ მოხდება, რა თქმა უნდა, გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად. ა(ა)იპ-ის მენეჯერებს აქვთ კონკრეტული ბიუჯეტი და მათი მოვალეობაა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც მათ მუშაობას არ შეუქმნის საფრთხეს.

-2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში თუ მიიღებთ მონაწილეობას?

–სიმართლე გითხრათ, ეს პარტიული თემაა, თუკი პარტიის ცენტრალური ოფისიდან იქნება სურვილი და ხელახლა გამომიცხადებენ ნდობას, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდები. ნამდვილად მზად ვარ და არ მაშინებს გამოწვევები. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღონ, თუნდაც სხვა კანდიდატის დასახელების შემთხვევაში, მხარს დავუჭერ და გვერდით დავუდგები.

-სად ხვდება ახალ წელს მუნიციპალიტეტის გამგებელი?

–მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობის ასაკიდან დიდი ხანია გამოვედი და აღარც თოვლის ბაბუას ველოდები, ახალი წელი ყოველთვის გამორჩეული დღესასწაულია ჩემთვის. ტრადიციულად, მესამე წელია ჩემს თანამოქალაქეებთან ერთად ვხვდები, შემდეგ ოჯახში ვაგრძელებ, მეგობრებისა და ოჯახის წევრების გარემოცვაში. ძალიან მიხარია, რომ ხაშურის მოსახლეობის თანადგომით, მცირედით მაინც შევძლებთ შეჭირვებული ოჯახების დახმარებას. 750 სოციალურად დაუცველ ოჯახს ვურიგებთ 50 ლარიან სასურსათო პაკეტებს. გარდა ამისა, მოსახლეობამ გამოთქვა სურვილი და კვების პროდუქტები და ტკბილეული გროვდება მუნიციპალიტეტის შენობაში. აუცილებლად დავასაჩუქრებთ საბავშვო ბაღების ბავშვებს, გამყოფი საზღვრის მიმდებარე სოფლის სკოლის მოსწავლეებს, ეს ყველაფერი მიქმნის ოპტიმიზმის საფუძველს, რომ მომავალი წელი უკეთესი იქნება ქვეყნისა და ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის.

-რაიმე საახალწლო ტრადიცია თუ გაქვთ ოჯახში?

–ჩვეულებრივი ქართული ოჯახი მაქვს, სითბოთი და სიყვარულით სავსე. ახალ წელსაც, როგორც ყველა ქართველი, ტრადიციულად ვხვდებით, მეგობრები ვიკრიბებით. თუ არ ჩავთვლით იმ სამ წელს, როცა ქუჩაში ვხვდები. ამის შემდეგ, ოჯახურ გარემოში ვამჯობინებ გაგრძელებას.

-ღვინო, რომლითაც ახალწელს დაილოცებით...

–ახალ წელს ოჯახში დაყენებული ღვინით ვიტყვი ქვეყნის კეთილდღეობის სადღეგრძელოს.

-და ბოლოს, როგორ მიულოცავთ ახალ წელს ხაშურის მოსახლეობას?

–მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ვულოცავ დამდეგ ახალ წელს, ნამდვილად გულწრფელად მინდა საქართველოს, მის თითოეულ მოსახლეს ვუსურვო, რომ 2017 წელი მათი იმედების, მიზნების გამართლების წელი ყოფილიყოს. ჩემთვის უპირველესი სურვილი მშვიდობა, ჯანმრთელობა და ოჯახური მთლიანობაა, რადგან ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც მშვიდობა და სიკეთე აქვს. ღმერთმა ქნას, უფრო მეტად კარგ, შემდგარ, მატერიალურად ძლიერ ქვეყანაში გვეცხოვროს.

თ. ჯავახიშვილი

რატომ აღვნიშნავთ მაცხოვრის შობას ჩვენ 7 იანვარს, დასავლურ-ქრისტიანული სამყარო კი 25 დეკემბერს?

შობის დღესასწაული მართლმადიდებლური სამყაროს უდიდესი და გამორჩეული მოვლენაა, საქართველო ტრადიციულად 7 იანვარს აღნიშნავს მაცხოვრის შობას, მაგრამ ყოველი დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად თავს იჩენს ასევე ტრადიციული კითხვები:

რას ნიშნავს "ძველი" და "ახალი" სტილი? რატომ ვდღესასწაულობთ მაცხოვრის შობას ჩვენ 7 იანვარს, დასავლურ-ქრისტიანული სამყარო კი - 25 დეკემბერს? ან რატომ ვდღესასწაულობთ ახალი წლის შემობრძანებას ორჯერ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და მოსახლეობის გათვითცნობიერება ორიოდე სიტყვით ძალიან რთულია, ვინაიდან ეს საკითხი ოდითგანვე ღრმა ანალიზისა და კვლევის საგანს წარმოადგენდა. ჩვენთვის ამოსავალი წერტილი და ერთადერთი ჭეშმარიტება არის ის გზა, რომელიც ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ გაიარა და რომლისგანაც საუკუნეების მანძილზე არც ერთი მისხალითა არ გადაუხვევია. აქედან გამომდინარე, ყველა საეკლესიო თარიღი შესაბამისობაში მოდის იმ ძირითად მოთხოვნასთან, რაც საეკლესიო დღესასწაულის მოწესრიგებული წესით განლაგებასა და ჰარმონიულ თანწყობას

გულისხმობს, ანუ რასაც იესო ქრისტე შეეხო, ყოველივე განწმინდა.

ქრისტეს შობამდე I საუკუნეში, 44 წელს, რომის იმპერატორმა იულიუს კეისარმა, ეგვიპტელი მეცნიერების დახმარებით, ახალი კალენდარი შემოიღო, რომლის მიხედვით წელიწადის პირველ დღედ 1 იანვარი გამოაცხადა. ხსენებული კალენდარი ეკლესიის წიაღში არ შექმნილა და არც კეისარი გახლდათ საეკლესიო მოღვაწე. კალენდარი არ იყო ქრისტიანობის დროინდელი, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით დროის ათვლის ყველაზე სრულყოფილ მოდელს წარმოადგენდა. ეკლესიამ იულიუსის კალენდარი შეითვისა არა როგორც სარწმუნოებრივი ღირებულების შემცველი სისტემა, არამედ როგორც მეცნიერული აზრის მონაპოვარი ისევე, როგორც შეითვისა ქრისტიანობამდელი ანბანი, სამშენებლო ხელოვნება და სხვა.

IV საუკუნიდან, როდესაც იულიუსის კალენდარი მოექცა საეკლესიო მსახურების წიაღში, იგი უწმინდეს დღესასწაულთა აღმნიშვნელი გახდა. 325 წელს, ნიკეაში გამართულ მსოფლიო I საეკლესიო კრებაზე, ამ საკითხზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს. იქიდან მოყოლებული, მართლმადიდებელი ეკლესია იულიუსის კალენდრით, ანუ ძველი სტილით აღნიშნავს ყველა საეკლესიო დღესასწაულს. კეისრის დროინდელი კალენდრისგან ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ საკულტო ორიენტირების ნაცვლად, კალენდრის ცენტრალური ადგილი მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის თარიღმა დაიკავა.

1582 წელს კალენდრის "რეფორმა" მოხდა რომის პაპ გრიგოლ II ინიციატივით და იულიუსის კალენდრის პარალელურად გრიგორიანულიც იქნა შემოღებული, რომლის შედეგად ეს უკანასკნელი ყველა უძრავ მართლმადიდებლურ დღესასწაულს დაშორდა ათი დღით, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში "დროის დეკრეტით" სამი დღეც დაემატა. ჯერ კიდევ 325 წელს, ნიკეის მსოფლიო I საეკლესიო კრებაზე ბრწყინვალე აღდგომის თარიღის აღნიშვნის საკითხიც იქნა განხილული. წმ. მეფე კონსტანტინე დიდმა ნიკეიდან ეპისტოლეები გაუგზავნა ყველა იმ ეპისკოპოსს, რომლებიც წმიდა კრებას არ ესწრებოდნენ. ეპისტოლეს ერთ-ერთ ფრაგმენტში წერია: "...დაე, თქვენმა კეთილგონიერებამ განსაზღვროს, თუ რამდენად არასაქებარია და საძრახისი, რათა ერთსა და იმავე დღეებში ერთნი მარხულობდნენ და სხვანი კი იხსნილებდნენ და აღდგომის დღის შემდეგ კი პირველნი ზეიმობდნენ და იშვებდნენ, მეორენი კი მარხულობდნენ".

მართალია, აქ ბრწყინვალე აღდგომაზეა ყურადღება გამახვილებული, მაგრამ უდავოა, რომ წმიდა მამებს მხედველობაში ექნებოდათ სხვა საეკლესიო დღესასწაულებიც.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კალენდრის დაზუსტება ან დახვეწა, ან მასში რაიმე ცვლილების შეტანა სათანადო დასაბუთებისა და შეთანხმების გარეშე ფრიად საზიანოა ეკლესიის ერთობისათვის. ეს საკითხი მსოფლიო I საეკლესიო კრებაზე გადაწყდა და მისი შეცვლა მხოლოდ მსოფლიო კრების კომპეტენციაში რჩება. ამგვარი დასაბუთება ახალი სტილის გარდაუვალი აუცილებლობის შესახებ არ არსებობს და შესაბამისად, არც საყოველთაო შეთანხმებაა მიღწეული. ყველაზე "ხილული" და მყარი არგუმენტი, რაც ყველასთვის ნათელია და რაც აღიარებს ძველი სტილის უპირატესობას ახალთან შედარებით, მაცხოვრის საფლავზე, აღდგომის დღის დადგომისთანავე, იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქის სანთლებზე ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლაა (და სხვა სასწაულები, რომლებიც იულიუსის კალენდრის მიხედვით აღესრულება)! ღვთის მიერ მოვლენილი ეს ზეციური სასწაული სწორედ იმის დასტურია, რომ ძველი სტილი, ანუ ის გზა, რომელსაც განუხრელად ადგას მართლმადიდებელი ეკლესია, არის სრულიად გაცნობიერებული, ერთადერთი ჭეშმარიტი პოზიცია, რომელიც ყველაზე უკეთ არეგულირებს საეკლესიო ცხოვრების ჰარმონიულ რიტმს. სწორედ ეს არის იულიუსის კალენდრის დოგმატური ღირსება, რომელსაც მყარად იცავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

ქრისტეშობა აღდგომის შემდეგ უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია. ჩვენში ეს 7 იანვარს აღინიშნება. ყოველმა მართლმადიდებელმა მორწმუნემ, რომელიც თავს ეკლესიის წევრად მიიჩნევს, უნდა იცოდეს, თუ რომელი კალენდრით ცხოვრობს მისი ეკლესია. ამიტომ ჩვენ, როგორც დედა ეკლესიის წევრები, ვალდებულნი ვართ, მხოლოდდამხოლოდ ძველი კალენდრის მიხედვით ვიზეიმოთ ქრიტეშობაც და სხვა ყველა ქრისტიანული დღესასწაულიც.

რაც შეეხება ახალ წელს, ეს საერო დღესასწაულია და ახალი სტილით 1 იანვარს შეესაბამება. საქართველოს ეკლესია საახალწლო პარაკლისს ძველი სტილით, 14 იანვარს იხდის და საგანგებო ლოცვასაც აღავლენს. 1 იანვარს, როდესაც საერო კალენდრით მთელ პლანეტაზე ახალი წელი დგება, საქართველოში არაეკლესიური ხალხი სუფრითა და ზეიმით ხვდება ამ თავსმოხვეულ დღესასწაულს, მომარხულეები კი 7 იანვარს, ანუ ნამდვილ 25 დეკემბერს - ქრისტეშობას გაიხსნილებენ.

ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში 2016 წელს განხორციელდა

2016 წელმა მართლაც ბევრი რამ შემატა ჩვენს მუნიციპალიტეტს. მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებში 4 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა და მთლიანად 150-მდე პროექტი განხორციელდა. ბუნებრივია, გაზეთის ერთ ნომერში ყველას წარმოჩენა შეუძლებელია და დღეს მხოლოდ შედარებით მსხვილი პროექტების ნუსხას გთავაზობთ.

ადმინისტრაციული შენობისა და მიმდებარე ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქცია.

სურამში, გურამიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია.

მე-9 საბავშვო ბაღის (სურამის) სრული რეაბილიტაცია.

მე-5 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

რკინიგზის კულტურის სასახლის რეაბილიტაცია

ომში დაღუპულთა მემორიალის რეკონსტრუქცია

აგარა-ჯორჯაძის ქუჩის მოასფალტება

მე-3 საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები

მიწისქვეშა გადასასვლელი ძნელაძისა და თამარ მეფის ქუჩებს შორის

კანალიზაციის მშენებლობა აგარის ქუჩაზე

მე-6 საბავშვო ბაღის მშენებლობა

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის ახალი ოფისი

სოფელ ხცისში და ახალშენში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა

სპორტ-კომპლექსის მშენებლობა



სასპორტო მოედანი კოსტავას ქუჩაზე

სურამის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია

მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი სამუშაოები

სურამში, 9 აპრილის ქუჩის სრული რეაბილიტაცია



მდინარე ბიჯნისულას ნაპირსამაგრი სამუშაოები

ქვიშხეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა

ყაზბეგის ქუჩის სრული რეაბილიტაცია

ყიფიანის ქუჩის მოასფალტება

ხაშურში, შინდარის უბანში სასპორტო მოედნის მოწყობა

ჰოროსკოპი

რას გვიქადის წითელი ცეცხლოვანი მამალი 2017 წელს

2017 წლის 28 იანვარს წითელი ცეცხლოვანი მაიმუნი მხიარულად დაგვიქნევს ხელს და დაგვემშვიდობება, ის მართვის უფლებას გადასცემს წითელ ცეცხლოვან მამალს. რა თქმა უნდა, ძალაუფლების შეცვლას მაშინვე ვერ ვიგრძნობთ, რადგან ორივე წლის სტიქიაც და ფერიც ერთნაირია. თუ წლის დასაწყისში მამალი მაიმუნის ნამოღვაწარზე დაკვირვებით შემოიფარგლება, გაზაფხულიდან უკვე გამოავლენს საკუთარ უფლებებს და გაგვაოცებს თავისი არაპროგნოზირებადი, სასიამოვნო სიურპრიზებით.

ვერძი

ვერძისთვის ეს წელი საკმაოდ სტაბილური იქნება, გაჩნდება შესაძლებლობა იმისა, რომ მრავალმხრივ გაიუმჯობესოს ცხოვრება, მაგრამ გარკვეულ სირთულეებსაც ვერ გაექცევა. იმისათვის, რომ სასიკეთოდ შეიცვალოს, ვერძმა უნდა აღიაროს საკუთარი უარყოფითი თვისებები და იმუშაოს მათი გამოსწორებისთვის. ეს წელი კარგია მომავლის დასაგეგმად, განსაკუთრებით გაუმართლებთ მათ, ვისაც აქვს გარკვეული მიზანი და პირდაპირ მისკენ მიისწრაფის.

კურო

კუროს ეს წელი ძალიან აქტიური ექნება. პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღება მოუწევს, მთავარია გააზრებულად იმოქმედოს. კარგი წელია ძველი შეცდომების გამოსასწორებლად. სასარგებლო იქნება, თუ სხვის რჩევებსაც გაითვალისწინებს, მაგრამ სიჯიუტე კარგს არაფერს მოუტანს. წლის მეორე ნახევრისთვის აქტივობის დონე საკმაოდ აიწევს. შესაძლებელია მოულოდნელი ცვლილებები ან გატაცებები.

ტყუპი

ძველი პრობლემების გადაწყვეტა, ოჯახური საქმეები - აი, რას მიანიშნებს 2017 წლის ჰოროსკოპი ტყუპს ცეცხლოვანი მამლის წელში. საქმეები მისდის წყნარად, ზედმეტი რყევების გარეშე, სიტუაციები განვითარდება თანაბარზომიერად...

კირჩხიბი

2017 წელს კირჩხიბებს დიდი ცვლილებები ელოდებათ, ასევე მოსალოდნელია, რომ მათ ცხოვრებამ გარკვეული გამოცდაც მოუწყოს. ნაცნობებმა და ახლობლებმა შეიძლება მათი კეთილშობილება ბოროტად გამოიყენონ, რამაც მათში შეიძლება მცირე ეგოიზმი გამოიწვიოს, რათა სადღაც ბოლოში არ აღმოჩდნენ.

ლომი

წელი გაჯერებული იქნება ხიფათითა და ექსტრემით როგორც საქმეში, ასევე პირად ცხოვრებაში. წელს ურთიერთობების გარკვევა სასურველი არ არის. სახიფათოა აგრეთვე სარისკო ოპერაციების ჩატარება, ამას შეიძლება ცუდი შედეგები მოჰყვეს.

ქალწული

ემოციურად საკმაოდ დატვირთული წელია, ნერვები უკიდურესად დაძაბულია, რამაც შეიძლება კონფლიქტამდე და აფეთქებამდე მიგიყვანოთ. გართულებულია ურთიერთობები გარშემო მყოფებთან. ამ შემთხვევაში საუკეთესოდ დაგეხმარებათ უნარი - დაგეგმოთ თქვენი დღე და რამენაირად მოახერხოთ გაღიზიანების შემცირება. ეს წელი სიკეთის მომტანი იქნება შემოქმედი ადამიანებისთვის, ასევე კარგია პროფესიული უნარების განვითარების თვალსაზრისით.

სასწორი

მოვლენებით დატვირთული წელია, მოსალოდნელია უთანხმოება ოჯახში, წინააღმდეგობები, რომელთა გადასალახავად დიდი ძალისხმევა დაგჭირდება. კარგი იქნება თუ გაიაზრებთ და წარსულის შედეგებს შეაჯამებთ. ბრწყინვალედ დაგეხმარებათ ინტუიცია, რაც უამრავ პრობლემას გადაგაჭრევინებთ. სასწორებს ბევრი და აქტიური მუშაობა მოუწევთ, რისთვისაც დიდი ენერგიის ხარჯვა დასჭირდებათ, რასაც აღდგენა სჭირდება. ახალი წამოწყებების სამომავლოდ გადადება მოგიწევთ, რადგან ისინი განწირულია მარცხისათვის..

მორიელი

ზოდიაქოს ამ ნიშნისთვის 2017 წელი იქნება საინტერესო და მოვლენებით დატვირთული. ჩნდება ახალი შესაძლებლობები, რომლებიც ხელიდან არ უნდა გაუშვათ და აუცილებლად უნდა განახორციელოთ თქვენი გეგმები. განსაკუთრებით წარმატებული იქნება წელიწადის შუა პერიოდი. მეგობრები თავს გაგახსენებენ და დახმარებას გთხოვენ, არ ღირს უარის თქმა. ეს კავშირები თავადაც გამოგადგებათ მომავალში.

მშვილდოსანი

მამლის წელი მშვილდოსნისთვის ყველანაირი ურთიერთობის განვითარების წელია. სასიყვარულო კავშირები უამრავ ლამაზ წუთს აჩუქებს მას. მის ცხოვრებაში ბევრი ახალი ადამიანი და შესაძლებლობა გამოჩნდება, რაც აუცილებლად უნდა გამოიყენოს. მთლიანად წელი გაჯერებული იქნება პოზიტივით, აქტიურობით, ძიებებით, თუმცა იქნება აგრეთვე ნეგატიური მომენტებიც, მაგრამ მათ გადალახვას ოპტიმიზმით შეძლებთ.

თხის რქა

აქტიური და საინტერესო წელი ელოდება თხის რქებს, ბევრი ახალი ნაცნობობა, სიცოცხლის მაღალი ტონუსი. ამ წელს თხის რქა გაიგებს, ვინ არის მის გარშემო მყოფთაგან ნამდვილი მეგობარი და ვინ ხლართავს ინტრიგებს. მთავარია, ხელიდან არ გაუშვათ ის მომენტები და გამოიყენოთ საკუთარი პიროვნული ზრდისთვის.

მერწყული

ამ ნიშნისთვის 2017 წლის ჰოროსკოპი პროგნოზირდება წარსულის დაბრუნებით, ძველი ნაცნობებისა და ურთიერთობების გახსენებით. რაც მათ გარკვეულ სიკეთეს მოუტანს, უკეთ გაარკვევს წარსულის შეცდომებში. არც ის არის შემთხვევითი, რომ ადამიანები წარსულიდან გარკვეულ როლს ითამაშებენ მათ მომავალ ცხოვრებაში და დაეხმარებიან მიმდინარე პრობლემების გადაჭრაში. სასიკეთო ცვლილებები იქნება მაშინ, თუ მერწყული ამას მოისურვებს. წარმატების მისაღწევად მათ მოუწევთ მთელი ძალისხმევის მობილიზება, მაგრამ თუ დინებას გაჰყვებიან, არანაირი იდეის განხორციელება არ ელით.

თევზები

ეს წელი თევზებისთვის საკმაოდ დინამიკური და მოვლენებით დატვირთული იქნება. ბევრი საქმე და ბევრი ახალი ინფორმაცია. მარტოობას ნუ მიეცემით. მთავარია ურთიერთობები მეგობრებთან, კარგია ახალი ნაცნობების შეძენა. თევზებს გაუჩნდებათ მოთხოვნილება თვითსრულყოფისკენ და საკუთარი ცხოვრების შეცვლისაკენ. ახალი გარეგნული სახე, საქმიანობის შეცვლა, ხშირად განაცვიფრებს მეგობრებსა და გარშემომყოფთ, ასევე გასაოცარი იქნება მათი გამომწვევი და უცნაური ქცევებიც...

ზამთრის სიურპრიზი სურამში. ანატოლი ფილიშვილის ფოტო.

ერთად შევეგებოთ ახალ წელს!

31 იანვარს, საღამოს 10 საათიდან, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართება დიდი საახალწლო გალა-კონცერტი. ადგილობრივ შემსრულებლებთან ერთად, კონცერტში მოწვეული მუსიკოსები - ყველასათვის ცნობილი სახეებიც მიიღებენ მონაწილეობას.

კონცერტი გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდება. გიწვევთ ყველას. ერთად შევეგებოთ ახალ, 2017 წელს!

მუნიციპალიტეტის გამგეობა

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.